საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, გლდანის VIII მ/რ-ში, დავით სარჯველაძის საკუთრებაში არსებული 1220 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 72.13.27.648) 7-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები“.

კერძო პირის დ. სარჯველაძის თხოვნით, ჩვენს მიერ 2016 წლის მაისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გლდანის VIII მ/რ-ში, 7-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, გლდანის VIII მ/რ-ში, დავით სარჯველაძის საკუთრებაში არსებული 1220 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 72.13.27.648) 7-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი.მ. ოთარ ხიზანიშვილის მიერ 2016 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ო. ხიზანიშვილი. მათ მიერ არის შესრულებული გრუნტების თვისებათა გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ---------- 12 გვ.
2. ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ.
3. მიწერილობა ---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები ---------- 5 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 3 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 7-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა ბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა

3 ჭაბურღილი, თითოეული 10მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი
2. ფენა 2 – თიხნარი
3. ფენა 3 – სუბარგილიტები და ქვიშაქვები

ანგარიშში მოცემულია თიხნარების და სუბარგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობის ფიზიკურ-მექანიკური თვისებათა გამოკვლევა. მოცემულია მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები, რის საფუძველზედაც ავტორი იძლევა წინადადებას შენობა დაფუძნდეს ძირითად ქანებზე, სუბარგილიტებისა და ქვიშაქვების მოეიგეობაზე, რასაც ვეთანხმებით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გამოკვლეულ სიღმემდე გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში გლდანის VIII მ/რ-ში, 7-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ მოედანზე აკმაყოფილებს საქართველოში მომქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი ტმდ
პროფესორი გ. ჭოხონელიძე

დიპლომი

წარჩინებით

№ 737129

ამის წარმომდგენი ამხ. ქოხორელიძე

გუგა ილიას ძე

19 წ. შევიდა და 1950 წ. დაამთავრა ს.მ.კი-

როვის სახელობის საქართველოს

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სრული კურსი

„სამრეწველო და სამოქალაქო

მშენებლობა"

სპეციალობით და სახელმწიფო

საგამოცდო კომისიის 1950 წ. 25 ივნისის

გადაწყვეტილებით მას მიეკუთვნა ინჟინერ-

-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

დირექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1950 წ.

რეგისტრაციის № 6133

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N 18)

Чохонелидзе Гуре Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

ინფორმაცია გუგა ჭოხონელიძის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში (2010-2015წწ.) შესრულებული სამუშაოების შესახებ:

1. „საინჟინრო ნაგებობები“ – სახელმძღვანელო მშენებლებისათვის – 2012წ.
2. სტატია – ქ. თბილისი კკელიძის ქ. №68-70-ში მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლთან, ფერდობზე წარმოშობილი კონტაქტური მეწყერის სტაბილიზაციის ღონისძიებანი. ჟურნალი „მშენებლობა“ №3(18) 2010წ.
3. სტატია – ლიოსისებური გრუნტების საწყისი ჩაჯდომადი წნევის განსაზღვრის შესახებ. სამთო ჟურნალი 2013წ. №1(30)
4. სტატია – დრეკადპლასტიკურ ფუძესთან უღთიერთქმედი ხისტი ტანის დატვირთვაზე გაანგარიშების და ტანის მზიდუნარიანობის განსაზღვრის დროს გამოყენებული დამატებითი მაგნატები და მათი მიღების ხერხები. ჟურნალი „მშენებლობა“ №4(18) 2014წ.
5. ანგარიშები ლუხუმჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები – 2012წ.

ასევე შესრულებულია საექსპერტო დასკვნები, რომლის უკანასკნელი ნაწილიც მოგვყავს ქვემოთ:

1. ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №19-ა-ს მიმდებარედ 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. 2015 წლის მაისი.
2. ქ. ბათუმში, გოგასლის ქ. 3159-ში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. 2015 წლის მაისი.
3. ქ. თბილისში, სოლოლაკში ახალგაზრდობის ხეივანში, 8 სართულიანი საცხოვრებელი კოპლექსის და მის მიმდებარე კოჯრის გზატკეცილთან შ.პ.ს

„სოლოლაკი ჰილზი“-ს მრავალფუნქციური სასტუმროს კომლექსის მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. 2015 წლის აპრილი.

4. შ.პ.ს „მაგთიკომი“-ს კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის მშენებლობისათვის ქობულეთის რაიონში, სოფელ ციხისძირში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური ძიება. 2013წ. ივნისი.
5. კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის №6 სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე სალიანდაგო და საწყობო მეურნეობის მშენებლობასთან დაკავშირებით მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა. 2012წ. აგვისტო.
6. საქართველოში, მდ. ჭოროხზე კარნათჰესის სამშენებლო უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა. 2014წ. ივლისი.
7. ქ. ბათუმში, აბუსერიძის შესახვევის №9-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. 2013წ. სექტემბერი.
8. მარნეულში, რუსთაველის ქ. №76-ში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესახებ. 2013წ. ივნისი.
9. ქ. თბილისში, ატენის ქუჩის შესახვევში (საკადასტრო კოდი 01.14.14.005.195) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. 2014წ. ივნისი.
10. ქ. თბილისში, გაგარინის ქ. №18-ში მრავალსართულიანი სახლის პროექტი. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა. 2014 წლის მარტი.